

მაპრიცელ ფანი

ქანკანის შვილები

მარომემდობა
ინტერესი

რედაქტორები
ნათო გორდელაძე
ლელა შორშოლიანი-ლიკლიკაძე
მხატვრები
გერდია არაბული
ლიზი ლიკლიკაძე
გაბრიელ ტანიე
დამკაბადონებელი
ლიკა სხირტლაძე
გარეკანის დიზაინერი
გერდია არაბული

ISBN 978-9941-458-97-2

© გაბრიელ ტანიე, 2017.

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2017.

„ტანიეს ტბა ჩურჩულებს...“ – უნებურად ნამოცდა
უცნობ გერმანელ ტურისტს ხევსურეთში მოგზაურობისას.

კუძღნი დათოს! თეას! ლელას!

ზუსტად იმ დროს გამოჩნდნენ, როცა უნდა გამოჩენილყვნენ... შემოვიდნენ ჩემს ცხოვრებაში და განუმეორებელი კვალი დატოვეს...

ეტაპობრივად, თანმიმდევრობით, თითქოს ვიღაცის უხილავი ხელი დინჯად და, რაც მთავარია, უზუსტესად მართავდა მოვლენებს...

თავიდან დათო იყო, ტურაშვილი, ჯერ კიდევ სულ თავიდან... ხარბად ვისმენდი, ვისუნთქავდი მის სიტყვებს, წინადადებებს, გამოსვლებს... ინსპირაციის ნამდვილი წყარო იყო... უანგარობის, გულწრფელობის...

მერე თეა ჯულელი გამოჩნდა... ნამდვილი მეგობარი... სწორედ თეა ჩამჩიჩინებდა – უნდა წერო, უნდა წერო... სწორედ თეამ მომცა გამბედაობა... რომ წერა დამეწყო... რომ გამებედა... არც კი ვიცი, რატომ სჯეროდა ჩემი ასე უმიზეზოდ და უპირობოდ, ასე ჯიუტად...

ბოლოს კი ლელა ჟორჟოლიანი... ამბობენ: წიგნები სულიერები არიანო, მათ ისევე სტკივათ და უხარით, როგორც ადამიანებსო... სულიერი... სული... სწორედ ლელამ ჩაუდგა სული ამ ტექსტს, როგორც ახალშობილი ხელში აიყვანა, გაზარდა და სამყაროს გაუწოდა, მაგრამ მანამდე ბევრი იშრომა, ბევრი იწვალა... ჩამოქნა და ჩამოძერნა... რომ... თქვენამდე მოსულიყო.

ჰოდა იწერებოდა... ხელ-ნელა, გაუბედავად, ეჭვით, ტკივილით, სიყვარულით... იწერებოდა ... სად აღარ... ხევსურეთში, არგვეთაში, ნეაპოლში, რომში, პარიზში, ბარსელონაში... სად აღარ... ბოლოს პრაღაში ჩამოაღწია და აქ დასრულდა...

და... ისევ დათო, თეა, ლელა... რომ არა ისინი, მზის სინათლეზე გამოტანას, ალბათ, ვერ ეღირსებოდა... მადლობა მათ!

და კიდევ მადლობა, განსაკუთრებული მადლობა ანა კორდაია-სამადაშვილს! – ჩემს პირველ მკითხველსა და შემფასებელს.

ნაწილი პირველი

17 მაისი

დილიდან არ გაჩერებულა ტელეფონი: მთავარ მოედანზე პიდარასტების მიტინგია, ყველანი იქ ვართ და წამოდი, დედა ვუ-ტიროთო...

მე კიდევ ჩარგალში, სადაც ვმსახურობ, უამრავი საქმე მაქვს. როგორც იქნა, ჩარგლის ძველი ტაძრის აღსაღენად ფული გადმომირიცხეს და რესტავრატორები უნდა წავიყვანო.

რა მემიტინგება... სამ თვეზე მეტია ხელოსნებს დავსდევ, თან კიდევ ეს პროტესტები და მიტინგები, მით უმეტეს, პომო-სექსუალების, მაგრად არ მაინტერესებს.

მოკლედ, ჩარგალში წავედი და დღის ბოლოს, როცა მუშაობას მოვრჩით, ხელოსნები იქვე, ჩემი უსაყვარლესი მართა ბებოს სახლში დავაბინავე. მე კიდევ მელანოსთან ჩავედი, რომელმაც, როგორც ყოველთვის, ძალიან გემრიელად მავახშმა და შემდეგ ტელევიზორიც ჩამირთო.

ახალ ამბებში დღევანდელი მიტინგის შესახებ დიდხანს საუბრობდნენ. რაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი თქვეს და აჩვენეს.

ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. საშინელი სანახავი იყო – რუსთაველის პროსპექტზე რამდენიმე გამძვინვარებული სასულიერო პირის აქეთ-იქით სირბილი, სხვადასხვა ბლაგვი საგნის აგრძესიულად ქნევა და უწმანური სიტყვების მთელი კორიანტელი...

კაცმა რომ თქვას, ქალაქის მთავარ მოედანზე, მაგინებელი მღვდელი გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე იქ მოსეირნე, უგემოვნოდ გათხუპნული რამდენიმე პომოსექსუალი, რომელიც უფრო პროვოკაციაზე წამოგებას ესწრაფვის, ვიდრე ვისიმე უფლებების დაცვას.

ეეჟ, კიდევ კარგი, აქ ვარ, მთებში, რომელიც არავის ახსოვს და კიდევ კარგი, რომ აღარავის ახსოვს...

* * *

მელანოს ეზოში ვზივარ და ვწერ...

ამ ტაძარში, რომლის სახურავიც უნდა გავამაგრო, პატარა ვაჟა-ფშაველა მღვდელმა იობ ცისკარიშვილმა მონათლა, შემდეგ კი მის მამას, პავლეს, დიაკვნად რომ უნდა ეკურთხებინათ, რეკომენდაცია სწორედ ამ ტაძარში დაუწერა.

კარგი და მაგარი მღვდელი იყო მამა პავლე რაზიკაშვილი.

მადლობა ღმერთს, მისი ქადაგებები შემორჩა, რომელიც დღესაც აქტუალურია და ძალიან მიყვარს.

მაისია და ჯერ კიდევ ცივა. ყველას სძინავს. მე კი ეზოში, მაგიდასთან ვზივარ და ვწერ, თან ვარსკვლავებს ვუყურებ, რომლებიც უდარდელად ანათებენ ჩარგლის ძალიან სუფთა და მოწმენდილ ცაზე.

17 ივლისი

ჩემი დაბადების დღეა.

მთელი ორი თვეა წერისთვის ვერ მოვიცალე იმიტომ, რომ ჩარგლის პატარა ტაძრის რესტავრაციას მოვუნდი. პარალელურად ხარჭიშოს ტაძრის რესტავრაცია უკვე დასასრულს უახლოვდება და ბარისახოს ეკლესიის დახურვაც დღეს თუ ხვალ აუცილებლად უნდა მოვასწრო.

ვერ ვიტყვი, რომ ძალიან დავიღალე, პირიქით, მხნედ ვარ და კიდევ მეტის გაკეთებას შევძლებ, თბილისიდან რომ არ მაც-ლიდნენ ძალას.

ისევ დამიბარეს.

საერთოდ რაც აქ, მთაში წამოვედი და მადლობა ღმერთს, საქმეები წინ წავიდა, ჩემმა „იქ“ დაბარებებმაც მათემატიკური სიზუსტით იმატა. რა თქმა უნდა, არა შესაქებად ან რაიმე რჩევის მოსაცემად, არამედ პირიქით, მეტად უაზრო და გაუგებარი დაკითხვებით – „შენ რაღაც ძალიან გააქტიურდი“ ან „მართალია, რომ ხანდახან პატრიარქს აკრიტიკებ?!”

ახლაც დამიბარეს.

გუშინ ჩამოვედი ხევსურეთიდან.

დღეს ჩემი დაბადების დღეა და თან რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, წმინდა ნიკოლოზ მეორისა და მისი ოჯახის ხსენების დღეა. ისინი ძალიან მიყვარს და ჩემს მფარველებად მივიჩნევ. ყოველ ამ დღეს განსაკუთრებით ვფიქრობ მათზე. უკვე მერამდენედ წარმოვიდგენ მათი დახვრეტის სცენას. სწორედ ამ დღეს, 17 ივლისს დამეს, ეკატერინბურგში, რუსეთის ციმბირის მიყრუებულ ქალაქში, ინჟინერ იპატიევის სახლში, სადაც ისინი ცოტა ხნით ადრე გამოკეტეს, მძინარენი გააღვიძეს და სარდაფში დახვრიტეს.

ბავშვობაში ფეხბურთზე დავდიოდი და ერთხელაც მოსკოვში წაგვიყვანეს, რაღაც გაურკვეველი, საკავშირო ტურნირი ტარ-დებოდა ჩვენს ტოლებს შორის. პირველი, რაც მასპინძლებმა

მოიმოქმედეს, ის იყო, რომ წაგვიყვანეს და ლენინის მავზოლეუმის წინ, ბელადის ნეშტის სანახავად გაჭიმულ ძალიან გრძელ რიგში ჩაგვაყენეს. რამდენიმესათიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, ნახევრად ჩაპნელებულ ოთახში შეგვიყვანეს და, მახსოვს, როგორც კი ლენინს დავხედეთ, არ ვიცი – მგზავრობისგან, არ ვიცი – უსაშველო რიგის შედეგად თუ მკვდრის დანახვის გამო, მე და ჩემი ამხანაგი, რომელიც ჩემსავით მეკარე იყო, გულწასულები იატაკზე გავიშელართეთ. ატყდა ერთი ამბავი და იმ ტურნირზე, რომელიც ათი დღე გრძელდებოდა, ჩვენს კარში ხან აზერბაიჯანელი, ხან სომეხი და ხანაც რუსი „ნათხოვარი“ მეკარეები იდგნენ, რადგან იმ დღის შემდეგ მე და ჩემი ამხანაგი, ძალიან სუსტად ვიყავით და კარში ჩადგომა კი არა, საწოლიდან ძლივს ვდგებოდით. მახსოვს, ჩემი საყვარელი მწვრთნელი თენგიზ კუბლაშვილი ლენინს დაბალ ხმაზე სულ დედ-მამის სულს უტრიალებდა, რადგან იმ მოწვეულ მეკარეებს სულ ფეხებზე ეკიდათ ჩვენი კარის უსაფრთხოება და თითქმის ყველა თამაშს ასტრონომიული ანგარიშით ვაგებდით.

ჩემთვის საყვარელი რომანოვების წმინდა ოჯახიც ხომ ლენინის საიდუმლო ბრძანებით დახვრიტეს.

ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საზოგადოებას ომი გამოუცხადეს, თითქოს ყველანი სხვადასხვა ნაპირზე აღმოვ-ჩნდით... მე არ მინდა ხალხთან დაპირისპირება, მეც ამ საზოგადოების ჩვეულებრივ წევრად მივიჩნევ თავს. როგორც ექიმი, ინჟინერი, უურნალისტი, მუშა და მძღოლი...

ეს ყველაფერი ფრთხილად და საკმაოდ მოზომილად დავაფიქსირე და იმ შენობიდან, სადაც ჩვენი უმაღლესი სასულიერო იერარქები ქვეყნის ბედნიერ მომავალზე ბჭობენ, როგორც მოსალოდნელი იყო, მოლალატის სახელით გამოვედი.

ძალიან ოპერატიულად მოქმედებდნენ. მაშინვე დაიწყეს მუშაობა, მაგრამ არა უშავს, მთავარია, ვთქვი და ამოვისუნთქე.

ახლა ერთადერთი, რაც მახარებს და სიცოცხლის ხალისს მაძლევს, ჩემი ბავშვობის მეგობრის, ფაცუს დილანდელი ზარია. იგი პარიზსა და ბარსელონაში მეპატიურება.

კიდევ კარგი, რომ რაღაც პერიოდი აქედან წასვლის საშუალება მომეცემა და ცოტა ხნით სადღაც გადავიკარგები.

კეთროვანივით მიყურებენ, ცდილობენ, თვალი ამარიდონ, ჩემს დანახვაზე ერთმანეთს გადახედავენ და ირონიულად იღი-მებიან.

სახლშიც დაძაბულობაა. განუწყვეტლივ მსაყვედურობენ: „რა გინდა, რით ვერ დაწყნარდი, ყველანი დავიღალეთ შენი სიგიჟით, ხომ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, გაჩერდე და როგორც სხვებმა, შენც ისე იცხოვრო...“

18 ივლისი

დილით სოფელში წავედი, ჩემს სახლში, რომელიც ძალიან მიყვარს და სადაც თავს ძალიან მყუდროდ ვგრძნობ. იქ კითხვის საშუალებაც მაქვს და ბევრი წიგნიც.

ჩემი ძალი დინო ძალიან გაზრდილა და გაუზეშებულა. ტანზე მახტება, ტანსაცმელი სულ დამისვარა, ბოლოს გავუბრაზდი და გამებუტა.

ძალიან ცხელა. ეზოში გამოვედი, იასუნარი კავაბატას „თოვ-ლიან მხარეს“ ვკითხულობ.

უსასრულოდ შემიძლია ამ მწერალზე ვილაპარაკო. ძალიან მაგარია, თითქოს ჩემთვის აღმოვაჩინე.

ტელეფონის ზარი დაწეული მაქვს, ფაცუს გარდა არავის ვპასუხობ. შემთხვევით დავხედე და ეკრანზე ბესოს ნომერი დაიწერა.

ბესო ვალედანაა. ქალაქია ასეთი, სამხრეთ საქართველოში, თურქეთის საზღვართან. დიდი სიყვარულით მომიკითხა და კიდევ ერთხელ მთხოვა ის, რაზეც უკვე მეხუთე წელია უარს ვეუბნები.

ჩასვლას მთხოვს, აქაურებს ძალიან მოენატრეო. მეც ძალიან მენატრებიან, მაგრამ არ შემიძლია...

სანამ ხევსურეთში გადმოვიდოდი, მანამდე სამხრეთ საქართველოში, მესხეთში ვმსახურობდი, სოფელ არალში. ყველაზე ძალიან ჩემები მენატრებიან.

თბილისელი, საოცარი ცოლ-ქმრის, ირაკლისა და ელისოს დახმარებით ბავშვთა ზღაპრული ცენტრი რომ დავაარსეთ, აი, იმ ცენტრის ბავშვებს ვგულისხმობ „ჩემებში“.

ენით აუწერელ და მართლა ჯადოსნურ სამყაროში შემიყვანეს ბავშვებმა. ჩუმად შევიპარებოდი მათს ჯგუფში, შუა მეცადინეობაზე, სადმე კუთხეში უხმაუროდ ჩავცუცქდებოდი, თვალებს დავხუჭავდი და ვცდილობდი, გონიერისა და გულის ყველა კარი გამეღო მათი საუბრებისთვის.

ნიკოლოზი მახსენდება, მძიმედ იყო ავად და ჩვენს ცენტრში მოსვლიდან რამდენიმე თვეში, გახალისებულმა და საკუთარ თავში დარწმუნებულმა ბავშვმა, სასწაულებრივად ფეხზე გაიარა, შემდეგ თავისი ეტლი დააკეცვინა და დემონსტრაციულად ჩააკეტინა მამამისს ავტოფარეხში.

ელისოსა და ირაკლის გარდა, გერმანელებიც დაგვეხმარნენ ამ ცენტრის დაარსებაში, ამიტომ მათ პატივსაცემად, ჩემი საყვარელი წმინდანის, წმინდა ელისაბედის სახელი მივანიჭეთ ცენტრს.

წმინდა ელისაბედი ეროვნებით გერმანელი, ბატენბერგელი პრინცესა, რუსეთის დიდ მთავარს, იმპერატორ ალექსანდრეს ძმას, სერგის გაჰყოლია ცოლად. როცა მისი ქმარი, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, დიდი მთავარი სერგი რევოლუციონერმა ტერორისტმა, ივან კალიაევმა თვითნაკეთი ხელყუბბარით ააფეთქა, დამწუხრებულმა ელისაბედმა მკვლელს საკანში მიაკითხა და დანაშაული შეუნდო, მერე კი მონაზვნად აღიკვეცა და თავი გაჭირვებული ადამიანებისადმი უანგარო დახმარებას მიუძღვნა. მოსკოვის ცენტრში გასაოცარი მონასტერი, მართამარიამის სავანე დააარსა, რომელმაც ბევრ უსახლვარო და უმწეო ადამიანს ცხოვრება გაუხანგრძლივა და სულში იმედი

ჩაუსახა. ჩემზე ძალიან იმოქმედა ერთმა შემთხვევამ წმინდა ელისაბედის ცხოვრებიდან. ვიხსენებ და ყოველთვის გონებაში ვატრიალებ ხოლმე ამ ამბავს კინოკადრივით. რუსეთის თებერვლის რევოლუცია ახალი მომხდარი იყო და ქვეყანაში საშინელი განუკითხაობა და ანარქია მეფობდა, მოსკოვის ქუჩებში თავზეხელალებული ბანდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უდანაშაულო ადამიანების დასახიჩრება-გაძარცვაში. ერთი ასეთი ბანდა, ცნობილი მოსკოველი ბანდიტის მეთაურობით, ელისაბედის მონასტერსაც მიადგა და რადგან მაშინ რუსეთს გერმანიასთან ომი ჰქონდა გაჩაღებული, ელისაბედის გერმანელობა საკმარის საბაბს აძლევდა მათ პროვოკაციის მოსაწყობად. მონასტრის დებმა კარი გახსნეს თურმე და კბილებამდე შეიარაღებული ბანდისა და მისი სასტიკი მეთაურის წინაშე ელისაბედი წარსდგა თავის დებთან ერთად. მეთაურს მის დანახვაზე გვერდზე გადაუფურთხებია და ირონიულად მიუმართავს: თუ შენ ნამდვილი მოწყალების და ხარ და დედა-რუსეთის ინტერესებს ემსახურები, მაშინ კეთილი ინებე და ჭრილობა დამიმუშავე, რომელიც სულ ახლახან მივიღეო – უთქვამს და ხელით საზარდულისაკენ მიუწიმნებია, თან თავისი ამხანაგებისთვის გადაუხედავს მრავლისმეტყველად, რომლებსაც მაშინვე სიცილ-ხარხარი აუტეხავთ.

ელისაბედმა მშვიდად მოუსმინა თურმე ბანდიტს და გვერდით მდგომ მონაზონს რაღაც უჩურჩულა. მანაც რამდენიმე წუთში წითელჯვრიანი ჩანთა გამოიტანა და ელისაბედს გადასცა, რომელიც წყნარად მიუახლოვდა ყაჩალთა მეთაურს, მის წინ დაიჩოქა, შარვალი შეუხსნა, ჩანთიდან სამედიცინო სპირტი, ბამბა და სახვევები ამოილო, დაბინძურებული ჭრილობა ფრთხილად გაუწმინდა, დაუმუშავა და ბოლოს ფაქიზად შეუხვია. ამის შემდეგ კი ფეხზე წამოდგა, ბანდიტს თვალებში ჩახედა და უთხრა, რომ მეორე დღეს ისევ მისულიყო, ჭრილობის კიდევ ერთხელ დასამუშავებლად. გამშრალი იდგა თურმე ბანდის მეთაური ელისაბედის წინ. არანაკლებ გაოგნებული იყვნენ მისი მეგობრები, რომლებსაც თავები ჩაეღუნათ – თითქოს ზემოთ ახედვის რცხვენოდათ.

სასტიკი სიკვდილი არგუნეს ელისაბედს, იგი 1918 წელს, ლენინის ბრძანებით, სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, ცოცხლად ჩააგდეს მიტოვებულ შახტაში და ზემოდან ყუმბარები დაყაყარეს.

ჰოდა, აი, ამ ღვთისნიერი ქალის სახელი ვუწოდეთ ახლად გახსნილ სკოლას, რომელიც, მადლობა ღმერთს, დღესაც განაგრძობს არსებობას.

19 ივლისი

არხოტის გზის ამბავი კიდევ გაურკვეველია. სულ მპირდებიან და იმედსაც მაძლევენ. ჩემ გარდა არავის სჯერა. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ გამოვა.

მესამე წელია ამ საქმეს ვეჭიდები და, მგონი, გავედი ბოლოში.

მართლა საუკუნის პროექტია. არხოტში ჯერ არასდროს ყოფილა გზა. როდესაც არხოტიონი სახლში ბრუნდებოდა, რუსეთში, ვლადიკავკაზში ჩადიოდა და იქიდან შემოდიოდა არხოტში. ანუ იქიდან გზა იყო და აქედან კი არა.

26 ივლისი

წუხელ უცნაური სიზმარი ვნახე.

ვითომ...

თბილისში ჩამოვედი და „იქ“ მივედი. როდესაც დაცვის ბიჭმა კარი გამიღო და შემიშვა, შენობაში არავინ იყო. მე იქვე დივანზე ჩამოვჯექი. ლოდინი დავიწყე. მოულოდნელად ზემო სართულიდან, კიბეზე ჩამომავალი უცნაური არსება დავინახე, ქალის თავი და იხვის ტანი ჰქონდა, თმის მაგივრად კი პატარ-პატარა გველხოკერები იყლაკნებოდნენ. ჩემამდე ძლივს მობაჯბაჯდა.